707 № 9952

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 1 (2096) კვირა 5 იანვარი, 1986 წელი. ● ფასი 2 კაპ.

## დღეს ნომერში:

● „სანიმუშო ქალაქს — ყველაფერში სანიმუშო წესრიგი!“ — ჯ. ი. პატიაშვილის გამოსვლა თბილისის საქალაქო პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე. (1-ლი გვ.).

● „ექსპერიმენტს სარგებლობა მოაქვს“ — თბილისის კალინინის რაიონში ჩატარებულ ექსპერიმენტსა და არასაუწყებო დაცვის მუშაობაზე გვესაუბრება მილიციის მაიორი ჯ. გაფრინდაშვილი. (მე-2 გვ.).

● მეთოდური რეკომენდაციები პოლიტსწავლების ჯგუფებისათვის. (მე-2, მე-3 გვ.).

● ზ. მესენგასერის რომანი „მზე ისევ გამოანათებს“. (მე-4 გვ.).

# სანიმუშო ქალაქს — ყველაფერში სანიმუშო წესრიგი!

ახლახან თბილისში ჩატარდა საქალაქო პარტორგანიზაციის მე-40 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია, რომელზეც სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. გამომსვლელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პრობლემებს.

ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის გამოსვლის სრული ტექსტი გამოქვეყნდა რესპუბლიკის ცენტრალურ პრესაში. ჩვენ კი მკითხველს ვთავაზობთ გამოსვლის იმ ნაწილს, რომელიც ეხება დედაქალაქის მილიციის საქმიანობას.

განსაკუთრებით მინდა შევეხო დღეს დედაქალაქში სათანადო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის პრობლემას. მოვიყვან ასეთ ხატოვან შედარებას. როცა ცენტრალური ტელევიზიით პროგრამა „ვრემიაში“ საქართველოს ამინდს აცხადებენ, ეკრანზე ძირითადად თბილისს უჩვენებენ ხოლმე, ზუსტად ასევე, სწორედ დედაქალაქი განსაზღვრავს ამინდს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის მხრივ, თავისუფალი ბარომეტრის როლს ასრულებს. ამიტომ განსაკუთრებით მომკითხველნი და პრინციპულნი უნდა ვიყოთ.

ამ მაღალი პოზიციებიდან არ შეიძლება არ ითქვას, რომ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად ბევრი საკითხი, რომლებიც წინა კონფერენციებზე აღძრულა, ჯერაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერ შეძლეს სასურველი შედეგების მიღწევა ამ საკითხში. დედაქალაქში ჯერ კიდევ ბევრია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ქურდობის, ხულიგნობის, საგზაო მოძრაობის წესების უგულებელყოფის, სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა ფაქტები. ჩვენ ხშირად ვამჩნევთ მხოლოდ ცალკეულ, დაქსაქსულ აქციებს, სხვადასხვაგვარი დეკადებით, ერთთვიურებით, ორთვიურებით გატაცებას, რომლებიც მხოლოდ ხანმოკლე, ლოკალურ შედეგებს გვაძლევენ.

ერთ-ერთ ასეთ პრობლემად რჩება, მაგალითად, მუქთახორობასთან ბრძოლა. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ბევრი გამოუსწორებელი მუქთახორა განაგრძობს პარაზიტულ ცხოვრებას, ხშირად ისინი ძვირფასი ავტომანქანებით დასეირნობენ, აქვთ საეჭვო შემოსავალი, ლოთობენ, ქურდობენ, სპეკულანტობენ.

ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველო (უფროსი დ. ვ. სალარიძე) ყოველთვის ვერ ფლობს ვითარებას. ზოგჯერ არ ამკაცრებს მომთხოვნელობას სამსახურების ხელმძღვანელებისადმი, არ უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის სათანადო მობილიზებულობას. ნოემბრის დღესასწაულების დროსაც კი, როცა მილიციის ორგანოები განსაკუთრებით გამზადებული უნდა იყვნენ, 26 კომისრის სახელობის რაიონში რამდენიმე გადაგვარებულმა პირმა ქეიფი მოაწყო უპატრონო შენობაში, რაც სამი კაცის მკვლელობით დამთავრდა.

ქუჩებში ელემენტარული წესრიგი არ არის. სპეკულანტები, მაწანწალები და სხვა ჯურის ანტისაზოგადოებრივი ელემენტები აშკარად დაძრწიან ცენტრალურ მაგისტრალებზე და მოედნებზე. არაორგანიზებულობა, უდისციპლინობა და უკონტროლობა განსაკუთრებით მკაფიოდ და კონცენტრირებულად გამოიხატება არასახარბიელო ვითარებით საავტომობილო ტრანსპორტზე. გაზეთმა „იზვესტიამ“ სამართლიანად გაგვაკრიტიკა ამის გამო, მაგრამ ამ საკითხის განხილვისას ქალაქის ბევრმა ხელმძღვანელმა ამბიციური, არათვითკრიტიკული პოზიცია დაიკავა. ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ვნებს ჩვენს საერთო საქმეს.

სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომელთა შორის ბევრია არაკომპეტენტური, ისეთი პირი, რომლებიც ნდობას არ იმსახურებენ და ხშირად გამოძალვას კადრულობენ. ამ დღეებში ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების მიერ მოწყობილი შემოწმების დროს გამოვლინდა უკიდურესად უხეში დარღვევები, რომლებსაც დედაქალაქის ავტოინსპექციისა და მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მუშაკები სჩადიან. ბევრ ავტოინსპექტორსა და მილიციელს დიდძალი ფული აღმოაჩნდა, თუმცა წესით საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ იგი სამსახურის დროს. ერთ მათგანს 1600 მანეთი აღმოუჩინეს, მეორეს ჩამოართვეს პორნოგრაფიული ღია ბარათები, მესამემ მძღოლებს მართვის უფლება ჩამოართვა, მაგრამ საგზაო შემთხვევის აქტი არ გააფორმა და ღამის 12 საათზე დაიბარა თავისთან. მეტი რაღა უნდა ვთქვათ, თუ სახელმწიფო ავტოინსპექციის ერთ-ერთ საგუშაგოზე დედაქალაქის შემოსასვლელთან ქარხანაში შეფუთული „მინსკ-15“ მაცივარიც კი აღმოაჩინეს.

დედაქალაქში წესრიგის დამყარების საკითხები ყოველ თბილისელს აწუხებს. ჩვენ გადამჭრელ ზომებს მივიღებთ იმისათვის, რომ გაძლიერდეს ქალაქის პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა შემთხვევითი ელემენტებისაგან ქალაქის მილიციის რიგების გაწმენდის საქმეში. მაგრამ უნებლიედ იბადება კითხვა: რატომ აჰყოლიან გამომძალველთა ნება-სურვილს თვით თბილისელები, რატომ ასალისებენ ზოგჯერ მათ თვითონ? აქ საჭიროა დიდი პრინციპულობა. იმისათვის, რომ ჩვენი ქალაქის ნამდვილი პატრიოტები ვიყოთ, დიდ მომთხოვნელობას უნდა ვიჩენდეთ იმისადმიც, რაც გარეშე ხდება და საკუთარი თავისადმიც.

ურთიერთმფარველობისა და ძმაბიჭობის. ვითარებაში ხომ ზოგზოგებმა შეიძლება თავისი დაუსჯელობა, განუკითხაობა ირწმუნონ. ამიტომ ხომ არ დაუშვეს უკიდურესად უხეში დარღვევები შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ დ. მიქაძემ და ადმინისტრაციულ ორგანოთა ზოგიერთმა სხვა ხელმძღვანელებმა, უკანონოდ რომ ცდილობდნენ მოეწყოთ თავიანთი შვილები თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის მუშაობაში უაქტიურესად უნდა ვაბამდეთ შრომელთა კოლექტივებს, დედაქალაქის მთელ საზოგადოებრიობას. და საკითხი სულაც არ ისმის ისე, რომ ფორმალურად ვუკეთებდეთ კაცს სახალხო რაზმელის სამკლაურს სახელოზე და მუშაობას ვწყვეტდეთ. სწორედ ამის გაკეთება იქნებ არც იყოს საჭირო. უნდა გავიაზროთ საზოგადოებრივი კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს გააკონტროლონ ყველა პროცესი. მათ შორის ისიც, თუ როგორ ეწევიან სამსახურს მილიციის მუშაკები, როგორ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ეს, რა თქმა უნდა, იოლი საკითხი არ გახლავთ, მაგრამ სანიმუშო წესრიგი ვერ იქნება სანიმუშო მილიციის გარეშე.

სამწუხაროდ ბოლო წლებში ქალაქის ხელმძღვანელებმა არაფერი არ დაუპირისპირეს იმას, რომ მილიცია თანდათანობით კარგავს არამარტო დედაქალაქურ, არამედ უბრალოდ ქალაქურ ხასიათს. მისი ბევრი ქვეგანაყოფი წლობით ივსება არა თბილისელებით, არამედ სხვადასხვა რაიონის მცხოვრებლებით. ეს საკითხი ამხანაგებმა აღძრეს ამ დღეებში, როცა შეჯამდა რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის შედეგები. სახელმწიფო ავტოინსპექციისა და მილიციის სხვა სამსახურების იმ 922 თანამშრომლიდან, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ დედაქალაქში, 708 ანუ სამ მეოთხედზე მეტი მკვიდრი თბილისელი არ არის. უფრო მეტიც, 314 თანამშრომელი, ანუ ყოველი მესამე, საერთოდ არ ცხოვრობს თბილისში.

ამიტომ საჭიროა კარგად გააზრებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დედაქალაქის მილიციის მუდმივ შევსებას ქალაქის ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებით, დემობილიზებული მეომრების, წარმოების ახალგაზრდა მუშაკების წრიდან. არანაკლებ საჭიროა, რომ კეთილსინდისიერი, პატიოსანი და თავდადებული სამსახურისათვის მათ ენიჭებოდეთ გარკვეული შეღავათები ბინის მისაღებ აღრიცხვაზე აყვანის, საბინაო-სამშენებლო კოოპერაციებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის დროს. საჭიროა რომ ყველა ეს ახალგაზრდა ჩანდეს, რომ ჩვენ მათ ვიცნობდეთ, ვზრდიდეთ, ვუქმნიდეთ სათანადო პირობებს. შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახური ხომ საპატიო, მაგრამ ძალზე ძნელიც არის.

ჩვენი აზრით ეს საკითხი დიდი ხანია მომწიფდა და პარტიის საქალაქო კომიტეტმა, ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სამხედრო კომისარიატთან, სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უშუალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი მის გადაწყვეტას.

# მოწინავეთა გალერეა

**დავით** ლევანის ძე კელენჯერიძე დაიბადა 1959 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფ. საკრაულაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

1980 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო ქუთაისის კონდიციონერების სახელოსნოში. 1981 წლიდან მუშაობს ზესტაფონის არასაუწყებო დაცვაში ელექტრომონტიორად, ხოლო 1982 წლიდან ზესტაფონის შს რაიგანყოფილების სამედიცინო გამოსაფხიზლებელში რიგით მილიციელად. არჩეულია სამედიცინო გამოსაფხიზლებლის კომკავშირული კომიტეტის ჯგუფორგად დ. კელენჯერიძე გამოირჩევა დისციპლინითა და სამსახურეობრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებით.



**რეინი** ალექსანდრეს ძე ბერაძე შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს 1956 წლიდან, ხოლო 1964 წლიდან იგი შს სატრანსპორტო ორგანოებს ემსახურება. 1981 წელს იგი დაინიშნა სადგურ ქუთაისის შს ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილედ. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობისას, მან მთელი ძალა და ენერგია მოახმარა ქვეგანყოფილების პირადი შემადგენლობის დარაზმვას სამსახურეობრივ-ოპერატიული მუშაობის შესრულებისათვის, რის შედეგადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სატრანსპორტო ქვედანაყოფებს შორის ქვეგანყოფილება უკვე რამდენიმე წელია მოწინავეთა შორისაა.

რ. ბერაძე არის დამრიგებელთა საბჭოს თავმჯდომარე. სწორედ ქვეგანყოფილებაში თაობათა ცვლისა და ახალგაზრდული კოლექტივის ჩამოყალიბების პერიოდში, რ. ბერაძე ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა კადრების აღზრდას. მისგან მრავალმა თანამშრომელმა შეისწავლა მილიციის მუშაკისათვის დამახასიათებელი თვისებები, მიიღეს საკმაო პრაქტიკული გამოცდილება და დღეს მისი მოსწავლეები მოწინავეთა რიგებში არიან.

მილიციის კაპიტანი რ. ბერაძე, მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის, მრავალჯერ არის წახალისებული საქართველოს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოსა და ქვეგანყოფილების ხელმძღვანელობის მიერ.

# ГЛАВНОЕ — ДИСЦИПЛИНА

Не секрет, что недобросовестные, халатно относящиеся к службе сотрудники, а тем более нарушители дисциплины, часто стараются избегать участия в проводимых политико-воспитательных мероприятиях. Они боятся критики, боятся попасть в поле зрения своего коллектива. Поэтому очень важно планировать политико-воспитательную работу так, чтобы именно эта категория попадала под наше влияние. А без учета состояния дисциплины и ее анализа это невозможно.

Руководство и партбюро отдела убедились в этом на опыте 1-го полугодия 1985 года. В первом полугодии нарушения дисциплины следовали один за другим. Особенно много их было в уголовном розыске, ГАИ, следственной группе. К нарушителям принимались меры административного партийного воздействия, тем не менее заметного сдвига в сторону укрепления дисциплины не происходило.

Обеспокоенные этим, мы решили тщательно проанализировать все случаи нарушения дисциплины, найти корень зла и разработать такие мероприятия, которые обеспечили бы общее улуч-

(Окончание на 2-й стр.).

# ექსპერიმენტს სარგებლობა მოაქვს

**სოციალისტური** საკუთრების საიმედო დაცვის უზრუნველყოფისა და ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის კალინინის რაიონის არასაუწყებო დაცვის განყოფილების მიერ 1985 წელს გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები.

შემუშავებული და დამტკიცებული იქნა გასატარებელ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა. შედგენილი იქნა ახალი დისლოკაცია. გატარებული ღონისძიებების შედეგად დაცვის ქვეშ აყვანილი იქნა სახალხო მეურნეობის 100-ზე მეტი ობიექტი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ცენტრალური სამეთვალყურეო პუნქტი. პირველად რესპუბლიკაში დაინერგა „კომეტის" ახალი სისტემის ტექნიკა, რომელიც საშუალებას იძლევა 100 სატელეფონო ხაზით დაცული იქნას სახალხო მეურნეობის 800 ობიექტი ან მოქალაქეთა 800 ბინა. „კომეტის". ახალი სისტემა ჩაერთო სატელეფონო ქსელში, რამაც საშუალება მოგვცა ცენტრალური დაცვის პულტზე ჩაგვერთო უტელეფონო მოქალაქეთა ბინები და ყოველდღიურად შეიძლება პულტზე ჩაირთოს მოქალაქეთა 700 ბინა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა არასაუწყებო დაცვის განყოფილების მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახურის რეორგანიზაციისა და კალინინის რაიონში ექსპერიმენტის ჩატარებაზე.

გატარდა მთელი რიგი ტექნიკური ღონისძიებები მილიციის მარშრუტებზე განლაგებული 80 ობიექტის პულტზე გადასაყვანად. მონდომებულმა შრომამ შედეგი მოგვცა. გაყვანილია დამატებითი კაბელები, ობიექტამდე მიყვანილი იქნა სატელეფონო ხაზები და ძირითადად ახალი ტექნიკის „კომეტის" დახმარებით ყველა ობიექტი ჩართულია პულტზე. შექმნილია ზონალური ჯგუფებისათვის ობიექტების დისლოკაცია, მოძრაობის მარშრუტი, მიმდინარეობს ბარათების განახლება, შეკეთებულია ავტომანქანები და მოტოციკლეტები, დამონტაჟებულია ახალი რადიოსადგურები.

აღნიშნულმა ექსპერიმენტმა კარგი შედეგები მოგვცა.

1985 წელს მილიციის მუშაკების მიერ გამოვლინებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ათობით ფაქტი.

[illegible] ზე და შედეგები იხილება პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ბიუროს სხდომებზე, ღია კრებებზე და ოპერატიულ თათბირებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად დაცვის ქვეშ მყოფ სახალხო მეურნეობის ობიექტებზე და კერძო ბინებში ქურდობის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

მიუხედავად წარმატებებისა დღემდე ადგილი აქვს თანამშრომელთა შორის დისციპლინის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს, რისთვისაც მკაცრად დაისაჯა ზოგიერთი ჩვენი მუშაკი.

ჩვენ მომავალშიც ყველა ღონეს ვიხმართ თანამშრომელთა იდეურ-პოლიტიკური მომზადებისა და პროფესიული ოსტატობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, შრომის, დისციპლინის განმტკიცებისათვის.

**ჯ. გაფრინდაშვილი,**
თბილისის კალინინის რაიონის არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

# ГЛАВНОЕ—ДИСЦИПЛИНА

(Окончание. Начало на 1-й стр.).

шение политико - морального состояния личного состава. Выяснилось, что большинство нарушений связаны с употреблением спиртных напитков, что руководители отделений и служб плохо контролируют несение службы подчиненными, слабо знают индивидуальные особенности каждого из них.

Анализ дисциплинарной практики также показал, что руководители плохо занимаются индивидуально - воспитательной работой с подчиненными. Через партбюро мы потребовали, чтобы никто из руководящего состава не уклонялся от воспитания подчиненных, заставили весь начальствующий состав иметь планы индивидуально - воспитательной работы, выполнение которого мы строго контролируем, в частности, путем заслушивания начальствующего состава на еженедельных оперативных совещаниях при начальнике отдела.

Одновременно мы объявили решительную борьбу с пьянством среди сотрудников. Анализ показал также, что у нас слабо использовались огромные возможности общественных формирований, советов наставников и отличников, товарищеских судов в укреплении дисциплины и воспитании личного состава.

Выводы, сделанные из проведенного анализа, стали предметом большого разговора на партийных и комсомольских собраниях, которые мы провели в июле-августе 1985 года. С учетом критических замечаний коммунистов и комсомольцев мы составили план дополнительных мероприятий по улучшению воспитательной работы, укреплению служебной дисциплины и социалистической законности.

Актизировали свою деятельность партбюро и комитет комсомола. В сентябре еще раз обсудили состояние служебной дисциплины на заседании партбюро. На политических занятиях и политинформациях стали чаще доводить до сведения личного состава результаты работы и состояния служебной дисциплины, показывать передовых и нерадивых сотрудников. В результате этого во втором полугодии резко сократилось число нарушителей дисциплины.

Проведенные мероприятия положительно сказались и на служебной деятельности подразделений. Лучше и оперативнее стали раскрывать преступления работники уголовного розыска, активизировали работу участковые инспектора.

Количество преступлений по линии уголовного розыска значительно сократилось, улучшилась раскрываемость преступлений. Почти наполовину сократилось количество привлеченных к дисциплинарной ответственности сотрудников БХСС, ночной милиции, рядового состава милиции и других.

Ни один дисциплинарный проступок, пусть даже незначительный, не остается без внимания со стороны руководителей всех звеньев и общественных организаций.

Начальники отделений и служб ежедневно докладывают начальнику РОВД о состоянии служебной дисциплины за прошедшие сутки. Здесь же заслушиваются руководители, в подразделениях которых были допущены нарушения дисциплины.

Вместе с тем, состояние дисциплины среди личного состава удовлетворительным признать нельзя.

Нас особенно тревожит состояние дисциплины среди сотрудников уголовного розыска (начальник ОУР майор милиции А. Гулотава), следователей (старший следователь майор милиции А. Конджая). Общественные организации и товарищеские суды недостаточно ведут профилактическую работу среди лиц, склонных к нарушению дисциплины.

Недавно в отделе состоялось заседание выездной комиссии социалистической законности МВД Абхазской АССР. Разговор, который состоялся на заседании, был принципиальным и деловым и, что главное, упор сделан на критическом анализе нашей деятельности, на выявление недостатков, изыскание новых резервов.

Исходя из решений заседания комиссии руководство и партбюро приложат все силы, чтобы воспитать личный состав в свете требований партии.

**Д. ГАБЕЛИЯ,**
заместитель начальника Гальского РОВД по политической части, капитан милиции.

# საინტერესო ლექცია

**ახლახან** უსინათლოთა საზოგადოების ქიათურის სასწავლო-საწარმოო წამოწყების კლუბში ლექცია ჩაატარა ქიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექტორმა რ. კვიცინაძემ თემაზე: „ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება ზამთრის გათბობის სეზონთან დაკავშირებით წარმოება-დაწესებულებებსა და მოსახლეობაში". მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალზე, რაც ხანძარს მოაქვს ადამიანისათვის და ყურადღება გაამახვილა სახანძრო-ტექნიკური უსაფრთხოების საწარმოოს დირექტორმა ა. აბრამიშვილმა მსმენელთა სახელით მადლობა გადაუხადა მომხსენებელს საინტერესო ლექციისათვის.

**თბილისის** ორჯონიკიძის რაიონის შს განყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილებამ 1985 წელს მრავალი ღონისძიება გაატარა საპასპორტო რეჟიმის განსამტკიცებლად.

საპასპორტო ქვეგანყოფილების მიერ შემოწმებული იქნა რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული მსხვილი წარმოება-დაწესებულება, სადაც გამოვლინდა არაერთი დარღვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ დარღვევები ჰქონდა მუშაობაში უბნის ინსპექტორს, მილიციის მაიორს ზ.

# საპასპორტო რეჟიმის განსამტკიცებლად

შეყილაძეს, რომელიც ემსახურება სტუდქალაქს.

განსაკუთრებით სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი უბნის ინსპექტორის, მილიციის კაპიტნის ზ. მუკნიაშვილის სამოქმედო უბანში, რომელიც ემსახურებოდა ზემო ვეძისის დასახლებას.

ჩვენს მიერ 1985-86 სასწავლო წლის დაწყებიდან 5-ჯერ იქნა გადამოწმებული მოსწავლეთა და სტუდენტთა ჩაწერის მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია გარკვეული წარმატება გასულ წლებთან შედარებით, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ჩვენ ჩავატარეთ ლექცია-საუბრები საპასპორტო რეჟიმის მნიშვნელობაზე რაიონში მდებარე ყველა სასწავლებელში.

1985 წლის 1 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე რესპუბლიკაში მიმდინარეობდა საპასპორტო რეჟიმის ერთთვიური დათვალიერება, რომელშიც ჩაბმული იყო შს განყოფილების მთელი პირადი შემადგენლობა. დათვალიერების პერიოდში პარაზიტული ცხოვრებისათვის და საპასპორტო რეჟიმის დარღვევისათვის რამდენიმე პირი მიცემული იქნა პასუხისგებაში.

**ე. ლაბაძე,**
თბილისის ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

# სახანძრო უსაფრთხოებისათვის

**ახლახან** გაიმართა ონის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭოს XII კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა და განიხილა ონის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარის გ. ჩიკვილაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

კამათში მონაწილეობდნენ ონის შს რაიგანყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი გ. რთველაძე, სორის საბჭოთა მეურნეობის უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი ნ. კერვალიშვილი, ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი ა. ჩიკვილაძე, ონის სარემონტო-სამშენებლო უბნის პარტორგანიზაციის მდივანი ა. ასანაშვილი და სხვები.

კონფერენციაზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ სახანძრო წესების დაცვას, მის პროფილაქტიკას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. საანგარიშო პერიოდში წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით ხანძრებით გამოწვეულმა ზარალმა რაიონში საგრძნობლად იკლო, ამავე საზოგადოების სამუშაოთა მოცულობის გეგმა საანგარიშო პერიოდში შესრულდა გადაჭარბებით. სიტყვებში გამოსულებმა აგრეთვე ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ონის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება ძირეულ ორგანიზაციებს დახმარებას უწევს სახანძრო ინვენტარით, დროულად მისი შეკეთება დამუხტვით და სხვა ღონისძიებების გატარებაში. აგრეთვე აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო ხშირად ტარდებოდეს ლექცია-მოხსენებები სახანძრო თემებზე, სახანძრო ჯგუფებსა და აქტივისტებს უფრო ბეჯითად უნდა ვასწავლოთ სახანძრო ინვენტარის, ცეცხლმაქრობის გამოყენების წესები.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს მიერ გაწეული მუშაობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად. მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის კონფერენციამ მიიღო შესაბამისი დადგენილება. კონფერენციამ აირჩია საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს გ. ჩიკვილაძე.

**ნ. დუღუაშვილი.**

ცეცხლზე ძლიერი ადამიანები

# სტიქიაზე გამარჯვებული

**გასული** წლის 22 ნოემბერს დაახლოებით დღის პირველ საათზე ლანჩხუთის ცაზე შავი ბოლი გაწვა, რომელიც სწრაფად გაიზარდა და საავდროდ გამზადებულ ღრუბელს დაემსგავსა. მალე მთელს ქალაქს მოედო ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო ბაზაში მომხდარი ხანძრის ამბავი.

ხანძარი დიდ მატერიალურ ფასეულობას უქადდა განადგურებას. გამძვინვარებულ სტიქიასთან საბრძოლველად ორგანიზებულად დაირაზმნენ ლანჩხუთის სახანძრო ნაწილის მუშაკები (უფროსი ე. გოგიჩაიშვილი). მათ მოქმედებას უნარიანად ხელმძღვანელობდა ქალაქის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილ-



ების სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი, შინაგანი სამსახურის კაპიტანი ჯ. ჭინჭარაძე. მეზობელი რაიონებიდან დასახმარებლად მოვიდნენ მეხანძრეები, აუცილებელი იყო ხანძრის სასწრაფო ლიკვიდაცია, რათა საშუალება არ მისცემოდა მის გავრცელებას.

ხანძრის ტერიტორიაზე ღიად დარჩენილი ჩამომსხმელი ესტაკადიდან იღვრებოდა საწვავი, რომელიც პირდაპირ ცეცხლზე ესხმოდა. განდა იმის საშიშროება რომ ცეცხლი ბაზის ტერიტორიაზე განლაგებულ სხვა საწვავის ავზებსაც მოედებოდა. ადამიანთა თავდადებული ბრძოლის მიუხედავად ცეცხლი არ ნელდებოდა, აუცილებელი იყო ცეცხლმოდებული ღიად დარჩენილი ავზის ონკანის გადაკეტვა, რაც სიცოცხლისათვის სახიფათო იყო. უცებ შემთხვევის ადგილზე თავმოყრილმა ასობით ლანჩხუთელმა დაინახა, რომ ცეცხლმოდებული ავზის ონკანს მიუახლოვდა ცეცხლგამძლე, სპეცტანსაცმელში გამოწყობილი მეხანძრე, რომელმაც სწრაფად გადაკეტა ონკანი, რითაც ხანძრის ძირითადი კერა მოისპო. გამძვინვარებულმა ცეცხლმა უკან დაიხია და მეხანძრეთა მამაცობის წყალობით მალე სულ ჩაქრა.

ვინ იყო ეს მეხანძრე? მოკლედ მოგითხრობთ მის შესახებ.

ზურაბ ახმედის ძე თავართქილაძე 1951 წელს დაიბადა მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახურს ბალტიისპირეთში იხდიდა, საიდანაც სკოლამ და ოჯახმა მრავალი მადლობის ბარათი მიიღო კარგი ახალგაზრდის აღზრდისათვის.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ზ. თავართქილაძე მუშაობას იწყებს მახარაძის სახანძრო ნაწილში მეხანძრედ. 1978 წელს შრომისაგან მოუწყვეტლივ სწავლა განაგრძო ხარკოვის სახანძრო-ტექნიკურ სასწავლებელში.

1983 წლიდან შინაგანი სამსახურის ლეიტენანტი ზ. თავართქილაძე ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის უფროსი ინსპექტორია. იგი სპორტის ოსტატობის კანდიდატია სახანძრო-გამოყენებით სპორტში. ზურაბი არაერთხელ დაჯილდოებულა ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით. იგი კარგი მეოჯახეც არის.

მართალი არ არის, თითქოს მამაც ადამიანს შიშის გრძნობა არ გააჩნია. ასე, რომ იყოს და ადამიანი ვერ ხედავდეს ვერავითარ საშიშროებას, მაშინ მისი მოქმედება არ მოითხოვდა სიმამაცეს. ადამიანისათვის თავგანწირვა ზნეობრიობის მაღალი იდეალების გამომხატველია და სასიხარულოა, რომ ასეთი თვისებით შემკობილი ჭაბუკი ჩვენი განყოფილების მუშაკია.

**ნ. ლომაძე,**
მილიციის კაპიტანი.

# ИСПОЛЬЗУЯ СИЛУ ЗАКОНА

**В проекте Программы КПСС подчеркивается, что партия придает первостепенное значение последовательному и настойчивому искоренению негативных явлений, в том числе тунеядства. «Необходимо сполна использовать для этого, — говорится в проекте Программы КПСС, — как авторитет общественного мнения, так и силу закона».**

**В публикуемой ниже статье рассказывается о том, как решается эта задача отделами внутренних дел Гудаутского и Гальского районов.**

В повседневную практику работы этих райотделов вошли выявление тунеядцев, учет, трудоустройство и закрепление их на производстве. Гудаутский райотдел выявил 143 неработающих (против 97 в прошлом году). 124 из них трудоустроено, некоторые за злостное уклонение от общественно полезного труда привлечены к уголовной ответственности. Среди них Синицкий А. и Капш В. Эти парни в течение года пробавлялись ничегонеделанием. Надо полагать, наказание в уголовном порядке заставит их всерьез задуматься о жизни, о том, что негоже тратить ее на безделье.

Следует сказать, что Гудаутский РОВД регулярно проводит рейды по выявлению неработающих, и в каждом из них ей помогают общественники Н. Гунба, А. Лазба и другие.

В Гальском районе выявлено 282 неработающих — на 94 больше, чем за тот же период прошлого года. 205 из них приобщились к труду, а некоторых пришлось привлечь к уголовной ответственности. Рост активности правоохранительных органов Гудаутского и Гальского районов в немалой мере обусловлен проведением двухмесячника по улучшению использования трудовых ресурсов и усилению борьбы с тунеядством. Активнее стали проявлять себя в этом деле исполкомы местных Советов народных депутатов, их постоянные комиссии.

В то же время нельзя не видеть, что в этой работе еще немало недостатков. О многом говорит тот факт, что отдельные тунеядцы длительное время остаются незамеченными участковыми инспекторами.

А некоторые участковые инспектора Гальского райотдела внутренних дел ограничиваются лишь выявлением неработающих и объявлением им официального предостережения и в дальнейшем не интересуются родом их занятий и поведением. Разве не о формализме свидетельствует то, что в материалах на тунеядцев, которые заведены участковыми инспекторами О. Квеквескири, Р. Гвилия, В. Шония, М. Шенгелия, Т. Дзадзука нет характеристик с места работы и справок с места жительства, сообщений о закреплении шефов-наставников.

**ЗА СТРОКОЙ ПРЕДСЪЕЗДОВСКИХ ДОКУМЕНТОВ**

Не отличаются активностью сельские и поселковые подкомиссии по борьбе с тунеядством и профилактике бытовых правонарушений. Собираются они нерегулярно, не анализируют состояния борьбы с тунеядством, не вносят в местные советские и другие органы предложения по совершенствованию профилактической и предупредительной работы. В Куланурхвском сельсовете Гудаутского района, к примеру, в нынешнем году подкомиссия заседала всего четыре раза, в Лыхненском — один раз.

Постоянно действующая комиссия по борьбе с тунеядством и профилактике бытовых правонарушений при Гальском райисполкоме заслушивала в нынешнем году на своих заседаниях отчеты исполкомов Верхнебаргебского, Речхоцхирского, Пичорского, Первогальского, Репского, Отобайского и Ачигварского сельских Советов о состоянии борьбы с тунеядством и использовании трудовых ресурсов. При этом выявилось, что, как правило, исполкомы местных Советов не рассматривают сообщения постоянно действующих комиссий по борьбе с тунеядством и профилактике бытовых правонарушений.

